2022 წლის ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 93 (ოთხმოცდაცამეტი) განცხადება. სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 63 (სამოცდასამი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, 26 (ოცდაექვსი) განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე კუთვნილებისამებრ გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, 3 (სამი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ხოლო 1 (ერთი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას იყენებს შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და საგადასახადო კოდექსს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 1 (ერთი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, აღნიშნული განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 17 (ჩვიდმეტი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა მათგანზე გაცემულ იქნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 4 (ოთხი) განცხადება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 3 (სამი) მათგანზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადების თაობაზე ინფორმაცია არ გაცემულა.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 9 (ცხრა) განცხადება. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 8 (რვა) მათგანზე გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახური

სსიპ - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 4 (ოთხი) განცხადება. საფინანსო - ანალიტიკური სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 3 (სამი) მათგანზე გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად არცერთი გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურს არ მიუღია. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სამსახურში არ შემოსულა. სამსახურში საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა. სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. ამასთან, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურს გადაწყვეტილება არ მიუღია და შესაბამისად, არ გასაჩივრებულა, სამსახურს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ, თანხები არ გადაუხდია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური

სსიპ - შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 5615 (ხუთი ათას ექვსას თხუთმეტი) განცხადება. შემოსავლების სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 4842 (ოთხი ათას რვაას ორმოცდაორი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 306 (სამას ექვსი) განცხადება, ინფორმაციის

გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 408 (ოთხას რვა) განცხადებასთან დაკავშირებით, ხოლო 59 (ორმოცდაცხრამეტი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა შემდეგი საჯარო მოხელეების მიერ:

- ✓ ბექა ჩხაიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი);
- ✓ დავით გამყრელიძე - სახაზინო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- ✓ ანა ლურსმანაშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური).
- ✓ ნათია გლოველი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური).
- ✓ დინარა ჩუბინიძე - სსიპ - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ✓ ომარ ოქროპირიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია).
- ✓ ლევან ბაიდოშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური).